წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №2

ქ.წალენჯიხა 2018 წლის 23 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, რეზულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 25 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი : თეა სარია-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ.

2. სხვადასხვა.
ა) საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია „ომუნეს ჯიხასთან“ დაკავშირებით.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა სარიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 4)

მოისმინეს : 2 სხვადასხვა.
ა) საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია „ომუნეს ჯიხასთან" დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარში მდებარე კულტურული მემკვიდერეობის ძეგლის „ომუნეს ჯიხას" სახელწოდებით ნობილი ფეოდალური ხანის ციხე-კოშკის რესტავრაციის საკითხი. ყველასთვის ცნობილია, რომ არსებობს უტყუარი დოკუმენრტები და თვითმხილველების ჩანაწერები რაც მყარ საფუძველს იძლევა იმ დასკვნისათვის რომ ზემოაღნიშნული კოშკის დაბოლოების არქიტექტურული იერსახე იყო კოლხური. 1982 წელს განხორციელებული რესტავრაციის შედეგად კოშკს შეეცვალა არქიტექტურული იერსახე გადაკეთდა სვანური კოშკის ყაიდაზე და გადაიხურა ამ კოშკისათვის დამახასიათებელი წესით. ამას მოჰყვა გარკვეული უკმაყოფილება. ადგილობრივი მოსახლეობისა და სიძველეთა მოყვარულების გულისყრომა დღემდე არ განელებულა, შესაბამისი წერილიც გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" . დაისვა საკითხი კულტურული ძეგლის თავდაპირველი სახით აღდგენის თაობაზე. საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლების პასპორტში აღნიშნულია რომ კოშკი წარმოადგენს სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელ ტიპურ ნაგებობას. საკრებულოს თავმჯდომარის აზრით რათა საკითხის გარშემო დადგინდეს ჭეშმარიტება აუცილებლად მიიჩნია ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება საქართველოში ცნობილი კვალიფიციური სპეციალიტების ჩართვით. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია მომზადდეს წერილი მომზადდეს წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის სახელზე ამ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ამ საკითხის შემოთავაზებული გზით გადაწყვეტას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია